



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 3/00.

„ 1 ” მარტი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ვ ა ბ”

გკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ა. ქოვჩავა /
0501 გოცირიძე

1 მარტი

„—“ 2011 წლის 1 მარტი

ეგზ. N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"-ს 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესახებ.

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I- შესავალი	გვ.2
შემოკლებანი.....	გვ.2
ნაწილი II –აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.....	გვ.4
ნაწილი III-ძირითადი ტექსტი.....	გვ.5
1. ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან.....	გვ.5

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯების მიზნობრიობის და რეალობის მდგომარეობა.....	გვ.10
3. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრიაი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა	გვ.25
4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.....	გვ.26
5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა.....	გვ.32
ნაწილი IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლები და უფლებამოსილებანი	გვ.33
ხელმოწერები.....	გვ.33

ნაწილი I – შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 29 აპრილის N50/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორები-მურმან ქურიძე(ჯგუფის ხელმძღვანელი) და ანა ალავერდაშვილი, აუდიტორი - ზაზა ჩიკვაიძე.

აუდიტის პერიოდი - 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე -ფინანსური და შესაბამისობის.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის აუდიტი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტი"-ს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ტელ: 37-80-53;

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 3 მაისს და დამთავრდა 2010 წლის 11 ივნისს.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"-სამტრესტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სამინისტრო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - შესყიდვების სააგენტო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო.

„საქართველოს 2008-2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი-წლიური საბიუჯეტო კანონი.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამტრესტი შეიქმნა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის რეგულირებისათვის. სამტრესტის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამტრესტის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის საქმიანობის რეგულირება და შესაბამისი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. სამტრესტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა). მევენახეობის რეგულირების სამმართველო;
- ბ). მეღვინეობის რეგულირების სამმართველო;
- გ). იურიდიული სამმართველო;
- დ). მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო;
- ე). ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სამმართველო;
- ვ). სადეგუსტაციო კომისია;

წლიური საბიუჯეტო კანონებით განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით 2008-09 წლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

პრიორიტეტი—მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა.

პროგრამა—„მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“ ითვალისწინებს გადამამუშავებელი კომპანიების საწარმოო სიმძლავრეების გაზრდას, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, პროდუქციის კვლავწარმოების ხელშეწყობას, ღვინის ხარისხის ამაღლებას, ფალსიფიკაციასთან ბრძოლას, საერთაშორისო ბაზარზე რეალიზებადი საბრენდე სპირტების რესურსებისა და შესაბამისად საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

2008 წელს მომზადებული იქნა სტატია ქართული მეღვინეობის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში(59,7ათასი ლარი) და გავრცელდა მსოფლიოს 41 ქვეყანაში. განახლებულ იქნა ურთიერთობა ლონდონის ღვინის მუზეუმთან. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა(252,5ათასი ლარი) ღონისძიებები აშშ-ში. 2009 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საკრედიტო რესურსად გამოიყო და ათვისებული იქნა 3.0 მლნ. ლარი, რითაც შეიქმნა წინაპირობა ღვინის კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების და ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების.

პროგრამა— „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების“ დაფინანსება(332,4ათასი ლარი) მიმართული იქნა ქართული პროდუქციის რეალიზაციისათვის, უცხოური ბაზრის შესწავლისა და მარკეტინგული კვლევის ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას.

პროგრამა—2008/2009 წლების რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებით განხორციელდა ქვეყანაში მევენახეობა—მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის დახმარება ყურძნის რეალიზაციასთან დაკავშირებით, მევენახეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამა—ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები ითვალისწინებდა „ვაქირულას“ ჰიბრიდული ჯიშის ვაზის ამოძირვას, იგი ამოძირვული იქნა 458.2 ჰა.-ზე და კომპენსაციის სახით მოსახლეობაზე გაცემული იქნა 822.7 ათ.ლარი.

ნაწილი II— აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამინისტროში წარდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს არ ახლავს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა, რომლის რეკომენდაციების საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფინანსურ და მირითად საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევა—ნაკლოვანებების თავიდან აცილება.....გვ.3.6
2. უგულებელყოფილია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით სამტრესტის ძირითადი საქმიანობის განმსაზღვრელი მოთხოვნები:
 - a). სადეგუსტაციო კომისიის მიერ ადგილწარმოშობის დასახელების (ა.დ.) ღვინოების დადებითად შეფასებისას პროდუქციის ეტიკეტზე სამტრესტის მიერ სპეციალური ჰოლოგრამის დატანის შესახებ.....გვ.16
 - b). საექსპორტო სერტიფიცირებული პარტიიდან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ, რამაც გამოიწვია ამ პროგრამაზე („ლაბორატორიული კვლევა“) გაწერილი

სახსრების აუთვისებლობა (2008 წელს 100.0ათ.ლარი, ხოლო 2009 წელს 150.0ათ.ლარი)..... გვ.23

გ). ადგილწარმოშობის ღვინოების ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე შესაბამისობის სერთიფიკატის გარეშე რეალიზაციის, სავალდებულო დეგუსტაციის და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი შესაბამისობის შეფასების პროცედურების საფუძველზე შესაბამისობის სერთიფიკატის გაცემის შესახებ..... გვ.24

3. სამტრესტის მიერ არ ხორციელდება წინასწარი მარკეტინგული კვლევები, კერძოდ წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი პროგრამული ღონისძიებებისათვის რეალურთან მიახლოებული ხარჯების პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც პირდაპირ კავშირშია სამტრესტის მიერ ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების არასრულყოფილად ათვისებასა და შესაბამისად კანონმდებლობით განსაზღვრული მისი ძირითადი ფუნქციების არასათანადოდ შესრულებასთან..... გვ.23

4. არ არის შესრულებული სამტრესტის დებულების მოთხოვნა, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც სამტრესტის ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით შეიმუშავებდა რეკომენდაციებს დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესახებ..... გვ.24

5. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს არ არის გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, რითაც დარღვეულია შესყიდვების შესახებ კანონისმოთხოვნა..... გვ.27

შიდა კონტროლის სისუსტეები

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები, რომელიც მიგვანიშნებს სამინისტროს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეებზე, რაც უარყოფითად აისახება სამტრესტის ბუღალტრულ აღრიცხვა ანგარიშგებაზე, განაპირობებს მის მოუწესრიგებლობას. ასევე აისახება განხორციელებული შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და სათანადო ნორმატიული აქტების მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებაზე.

ნაწილი III – მირითადი ტექსტი

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან.

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

აუდიტის დაწყებამდე განხორციელებულ დაგეგმვის ეტაპზე, ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში გამოთვლილ იქნა არსებითობის ზღვარი და გაკეთდა რისკების შეფასება, რა დროსაც შეუმჩნევლობა განისაზღვრა მაღალი რწმუნებულებით. აუდიტი ჩატარდა სტატისტიკური შერჩევის მეთოდის საფუძველზე, რომელიც გავრცელებულ იქნა, როგორც ხაზინიდან მიღებულ ყოველდღიურ ტრანზაქციებზე და შესყიდვებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, ასევე მივლინებებსა და მარაგების ჩამოწერაზე. არსებითობის ზღვარმა, რომლის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ამ შემთხვევაში საკასო ხარჯი) 2008 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შეადგინა 43.075 ათ. ლარი, ხოლო 2009 წელს 50.2 ათ.ლარი.

სამტრესტში ფინანსური აღრიცხვა–ანგარიშგება მირითადად ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით, ინდივიდუალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ბუღალტრულ საქმიანობას მთლიანად წარმართავს მთავარი ბუღალტერი, ამ სფეროში საშტატო განრიგით დამტკიცებულია მხოლოდ ეს ერთი ერთეული შტატი.

სამტრესტის მიერ სამინისტროში კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსები) წარდგენილია სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების დაცვით და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

ფინანსური აუდიტით გამოიკვეთა შემდეგი შენიშვნები:

2008-2009 წლების ნაერთი ბალანსების დანართ ფორმა N2-ში (ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით) არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთა (მირითადი კაპიტალის მოხმარება) ასახული არ არის ფაქტობრივ ხარჯებში (შესაბამისად 18,5 ათ. ლარი და 20,7 ათ.ლარი), თუმცა აღნიშნული თანხა ასახულია, როგორც ბალანსის დანართ ფორმა N3-ში („წმინდა ღირებულების ანგარიშებზე თანხების მოძრაობა“) ისე ფორმა N5-ში („ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასცლის შესახებ“).

სამინისტროში წარდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს არ ახლავს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნა¹ რომლის რეკომენდაციების საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფინანსურ და მირითად საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მაქსიმალურად თავიდან აცილება.

სინთეზური აღრიცხვა არ იწარმოება მემორიალ-ორდერული ფორმით, პირველადი დოკუმენტები არ სისტემატიზირდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არ არის აკინძული წიგნებად².

ზალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ – დაფიქსირებულია 86,8 ლარი, რომელიც სამტრესტის განმარტებით მომდინარეობს მრავალი წელია და წარმოადგენს კერძო კომპანიებისთვის შესანახად გადაცემული სახელმწიფოს კუთვნილი ღვინომასალებისა და საბრენდე სპირტების ღირებულებას. სამტრესტის მიერ საქართველოს კონტროლის პალატაში 2008 წლის 22 ნოემბერს გამოგზავნილ N2-1255 წერილის თანახმად აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე მიმართეს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, არსებული ღვინო მასალებისა და საბრენდე სპირტების ნაშთების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შემდგომი განვარგვის მიზნით, მაგრამ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში რაიმე ღონისძიება არ გატარებულა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაციის თანახმად 2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სამტრესტს დებიტორული დავალიანების ნაშთად ერიცხებოდა 7011.6ათ. ლარი, 2008 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა და შეადგინა 6566.5 ათ.ლარი, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8939.4 ათასი ლარი შეადგინა. დებიტორული დავალიანებების ცხრილი შემდეგნაირად გამოიყურება:

ათ.ლარებში

¹ არ არის დაცული „სსიპ-ის შესახებ საქართველოს კანონის მე 14 – მუხლის მე 2 პუნქტის მოთხოვნა.

² არ არის დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე 5-ე მუხლის, 1; მე 2-ე და მე 8-ე პუნქტების მოთხოვნები.

დასახელება	ნაშთი 01.04.2008	31.12.2008	31.12.2009	წარმოშობის თარიღი
1	2	3	4	5
კაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენება	586.6	586.6	586.6	2004
მოთავონების მიულინებით		4.8	0.442	2008-2009
ღვინის ქარხნების მხარდამჭერი ღონისძიებები	1000.0	712.8	700.1	2007
2007 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები	5425.0	5262.3	4410.0	2007
პირგასამტებლით და პროცენტი	-	-	242.2	2009
მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	-	-	3000.0	2009
ჯამი	7011.6	6566.5	8939.4	

586.6 ათ. ლარის დავალიანება წარმოიქმნა “ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების” პროგრამის ფარგლებში 2004 წელს გამოყოფილი 700,0 ათასი ლარის დაფინანსებიდან (თანხა დამტკიცებულია 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით). კერძოდ, აღნიშნულ თანხაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაფორმდა ხელშეკრულებები 31 იურიდიულ და ფიზიკურ პირთან. 6 იურიდიულ და ფიზიკურ პირთან შედგენილი იქნა სამუშაოს შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტები, როგორც ამას ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა. დანარჩენ 25 პირთან 586, 6 ათას ლარზე სამუშაოს შეუსრულებლობის ან ხარჯვის დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის გამო შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილი არ არის, თუმცა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2006 წელს.

სამტრესტის იურიდიული სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2010 წლის დასაწყისში კიდევ ერთ კონტრაქტორს გაუფორმდა მიღება ჩაბარების აქტი 18 ათ. ლარზე. დანარჩენ კონტრაქტორებთან დაიწყო სასამართლო დავები, საიდანაც 7 კონტრაქტორის საქმე დამთავრებულია. ორ ფიზიკურ პირს დაეკისრა 18,3 ათ. ლარის უკან დაბრუნება, ხოლო ხუთი ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ჩაითვალა დამაკამაყოფილებლად. სამტრესტი უახლოეს პერიოდში გაფორმებს მათთან მიღება-ჩაბარების აქტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით დებიტორული დავალიანება შემცირდება 400,9 ათ. ლარამდე. დანარჩენი კონტრაქტორების საქმეები წარმოების სხვადასხვა ეტაპზეა.

5110.1 ათ. ლარის დავალიანება 2007 წლიდან წარმოშობილია სხვადასხვა პროგრამებზე, კერძოდ 2007 წელს საქართველოს მთავრობის 14 სექტემბრის N500 განკარგულებით „2007 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის“ საკრედიტო რესურსად გამოყოფილი იქნა (სესხის სახით) 5500.0 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამტრესტის გადაწყვეტილებით უნდა გაცემულიყო იმ კომპანიებზე, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ფიზიკური პირებიდან მიღებული ყურმის ღირებულების ანაზღაურებას. სესხი იყო 5 წლიანი, წლიური 3%-იანი განაკვეთით. გამოყოფილი 5425.0 ათ. ლარი გაიცა შემდეგ კომპანიებზე: შპს. “ასკანელი მმები” – 700.0 ათ. ლარი (დაფარულია გრაფიკით გათვალისწინებული 70.0 ათ. ლარი); შპს. “წაფარეული

21"- 4200.0 ათ. ლარი, (დაფარულია გრაფიკით გათვალისწინებული 420.0 ათ. ლარი); შპს. "გუგული" – 525.0 ათ. ლარი (მისი დავალიანება დღეის მდგომარეობით მთლიანად დაფარულია).

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის N773 განკარგულებით "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების" პროგრამისათვის გამოყოფილი იქნა 1000.0 ათ. ლარის სესხი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა თანხების სესხად გაცემას იმ კომპანიებზე, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ფიზიკურ პირებზე ყურმნის ღირებულების გადახდას. ეს კომპანიებია: შპს. "ალაზნის ველი და კომპანია" – 453. 0 ათ. ლარი; ს/ს "ჭანდრის ღვინის ქარხანა" – 100.0 ათ. ლარი; შპს. "ქართული ღვინის იმპერია" – 265.0 ათ. ლარი; შპს. "ქართული ღვინის სახლი" – 182.0 ათ. ლარი. სესხი გაცემული იყო ერთი წლის ვადით და უნდა დაფარულიყო 2008 წლის ბოლოს 3%-იანი განაკვეთით, თუმცა დღეის მდგომარეობით დასაფარია კვლავ 700.1 ათ. ლარის დავალიანება. ორივე პროგრამაზე დარიცხულმა პროცენტმა და პირგასამტებლომ შეადგინა 242.2 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისს N375 განკარგულებით საკრედიტო რესურსად გამოყოფილი იქნა 3000.0 ათ. ლარი პროგრამა "მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის", რომელიც სესხის სახით გაიცა შპს. "რუჯზე" და შპს. "გუგულზე" (თითოეულზე – 1500.0 ათ. ლარი) 5 წლიანი ვადით წლიური 5%-იანი განაკვეთით, პროგრამა ითვალისწინებდა დიდი ოდენობით დაგროვილი ღვინო მასალების შეძენას და მათ გამოხდას საბრენდე სპირტებად.

ზემოაღნიშნული სასესხო ხელშეკრულებები გაფორმებულია ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამოყოფი), სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ სამტრესტს (სესხის გამცემი) და საწარმოს (სესხის მიმღები) შორის.

ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლი ევალება სამინისტროს, ხოლო სამტრესტი ფინანსთა სამინისტროდან იღებს მხოლოდ სესხის დაფარვის შესახებ ინფორმაციას.

არაფინანსური აქტივები

სამტრესტს 2008 წლის 1 აპრილისათვის საბალანსო მონაცემებით, ერიცხებოდა 146.6 ათ. ლარის, 2008 წლის 31 დეკემბრისათვის 105.4 ათ. ლარის, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბრისათვის 126.9 ათ. ლარის ძირითადი საშუალებები. ცვეთა 2008 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 18.5 ათ. ლარს, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბრისათვის კი 20.7 ათ. ლარს.

2008 წლის 1 აპრილიდან შეძენილია 14.8 ათ. ლარის კომპიუტერული ტექნიკა და სხვადასხვა აქტივები. 2009 წელს კი შეძენილია 33.3 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა და ობილი ინვენტარი.

წმინდა ღირებულება

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სამტრესტის კაპიტალი (წმინდა ღირებულება) შედგენდა 7172.7 ათას ლარს, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6671.9 ათას ლარს, ხოლო 2008 წლის 31 დეკემბერს 9066.2 ათ. ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სამტრესტს ერიცხებოდა 53.2 ათ. ლარის, 2008 წლის 31 დეკემბერს 16.1 ათ. ლარის, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბრისათვის 25.5 ათ. ლარის ოდენობის სასაქონლო—მატერიალური მარაგები.

1.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- სსიპ-ის წლიური ბალანსი უნდა შეამოწმოს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნულმა დამოუკიდებელმა აუდიტორმა.
- სამტრესტის საფინანსო სამსახურმა უზრუნველყოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე 5-ე მუხლის I, მე 2-ე და მე 8-ე პუნქტების მოთხოვნები, აგრეთვე გაითვალისწინოს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების მოთხოვნები და განახორციელოს ბალანსის დანართი ფორმების სრულყოფილად შევსება.
- გაატაროს ქმედითი ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების შესამცირებლად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და რეალობის მდგომარეობა.

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება.


სამტრესტის დაფინანსების წყაროს აუდირებულ პერიოდში წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. 2008-2009 წლებში საბიუჯეტო განაცხადის, დამტკიცებული ბიუჯეტის, წლიური საბიუჯეტო კანონით განხორციელებული ცვლილებების და დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ მონაცემები მოცემულია წინამდებარე ცხრილში და ასევე გამოსახულია გრაფიკულად.

2008 წელი

ორგანიზაციის კოდი N	დასახელება	ათ. ლარებში					
		2008 წლისმიზანების განვითარები	2008 წლის განვითარები	2007 წლის ლარებში დამტკიცებულისაუკუკ ტი	2007 წლის ლარებში დამტკიცებულისაუკუკ ტი	III და IV ვლილებები დამტკიცებული მარტის და ტელის კანონით	2008 წლის დაზუსტებული კვლები
1	2	3	4	5	6	7	
37 04	სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“	3823.0	3823.0	3423.0	12369.1	12259.4	
	სარჯები	3803.3	3803.3	3403.3	12349.1	12239.4	
	სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები	3803.3	3803.3	3403.3	3849.1	4739.4	
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	8500.0	7500.0	
	არა ფინანსური აქტივები	20.0	20.0	20.0	20.0	20.0	
37 04 01	სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“-ს აპარატი	1723.3	1723.3	1723.3	1723.3	1613.6	
37 04 03	პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები“	1000.0	1000.0	600.0	600.0	600.0	
37 04 05	პროგრამა „ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები“	1000.0	1000.0	1000.0	1000.0	1000.0	
37 04 06	პროგრამა „ღვინის ლაბორატორიული კვლება“	100.0	100.0	100.0	45.8	45.8	
37 04 07	პროგრამა „2008 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“	0.0	0.0	0.0	9000.0	8000.0	
37 04 09	პროგრამა „დედოფლისწყროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფერავის ჯიშის ვენაბის ჩანაცვლების ღონისძიებები“	0.0	0.0	0.0	0.0	700.0	
37 04 10	პროგრამა „ყვარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქაწითელის ჯიშის ვენაბის ჩანაცვლების ღონისძიებები“	0.0	0.0	0.0	0.0	300.0	

2009 წელი

ორგანიზაციის კოდი N	დასახელება	ათ. ლარებში					
		2009 წლის ბიუჯეტის განვითარები	2009 წლის ბიუჯეტის განვითარები	2009 წლის ლარებში განვითარები	2009 წლის ლარებში განვითარები	2009 წლის ლარებში განვითარები	2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი
1	2	3	4	5	6	7	
37 03	სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“	4250.0	4250.0	28450.0	19490.0	12014.0	
	სარჯები	4150.0	4150.0	13650.0	4690.0	8914.0	
	სუბსიდიები	4150.0	4150.0	4150.0	3560.0	3410.0	
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	9500.0	1130.0	5504.0	
	არა ფინანსური აქტივები	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	
	ღინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	14700.0	14700.0	3000.0	
37 03 01	სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“-ს აპარატი	3350.0	3350.0	2850.0	2560.0	2310.0	
37 03 02	პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“	0.0	0.0	14700.0	14700.0	3000.0	
37 03 06	პროგრამა „ღვინის ლაბორატორიული კვლება“	150.0	150.0	150.0	150.0	150.0	
37 03 07	პროგრამა „ქართული ღვინობრივი ღუმების პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“	750.0	750.0	750.0	750.0	750.0	
37 03 12	პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“	0.0	0.0	10000.0	1330.0	5704.0	
37 03 13	პროგრამა „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“	0.0	0.0	0.0	100.0	100.0	



2008 წელს დაზუსტებული გეგმა (12259.4 ათ.ლარი) ნაკლებია ბოლო დამტკიცებულ გეგმაზე (12369.1 ათ.ლარი) 109.7 ათ.ლარით, რომელიც სამტრესტის მოთხოვნით გადანაწილდა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდში.

2009 წელს დაზუსტებული გეგმა (12014.0 ათ.ლარი) ნაკლებია ბოლო დამტკიცებულ გეგმაზე (19490.0 ათ.ლარი) 7476.0 ათ.ლარით. გეგმის დაზუსტება განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 18 სექტემბრის N508 ხარჯთაღრიცხვის ცნობის საფუძველზე, პროგრამა - „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ ასიგნებიდან აუთვისებლობის გამო გადანაწილებული იქნა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდის“ ასიგნებაში (კოდი 23 11) 7326.0 ათ. ლარი, ასევე აპარატის ასიგნება შემცირდა 250 ათ. ლარით(2009 წლის 25 თებერვლის ცნობა N42) და პროგრამული დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათ.ლარით (2009 წლის 3 დეკემბრის ცნობის N 653).

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სამტრესტის ხარჯების გეგმა ძირითადად მოიცავს სხვა ხარჯებისა(რომელიც მთლიანად დაკავშირებულია რთველთან) და სუბსიდიის მუხლებს, ასევე ბიუჯეტის გეგმაში გათვალისწინებულია არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით მისაღები დაფინანსება.

საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და პროგრამების მიხედვით გადახდების(საკასო ხარჯი) და ფაქტობრივი ხარჯების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით

2008 წელი

ათ. ლარებში

დასახელება	დაზუსტებული ეგვენი	მოთხოვნა გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ ეგვენის შორის (3-2)	გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და აკასო ხარჯს შორის (4-3)	ათვისება % (3 / 2 X 100)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგნება	12259.4	8945.7	-	(3313.7)	-	73.0
ხარჯები (მათ შორის)	12238.4	8926.7	9072.2	(3311.7)	145.5	72.9
სუბსიდიები	4738.4	2785.8	2912.7	(1952.6)	126.9	58.8
სხვადასხვა ხარჯები	7500.0	6140.9	6140.9	(1359.1)	-	81.9
მირითადი კაპიტალის მოხმარება			18.5	-	18.5	
არაფინანსური აქტივი	20.0	18.0		(2.0)		90.0
ვალდებულების კლება	0.9	0.9		-		100.0

პროგრამების მიხედვით

დასახელება	დაზუსტებული ეგვენი	მოთხოვნა გადახდა (საკასო ხარჯი)	გადახდა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ ეგვენის შორის (3-2)	ათვისება % (3 / 2 X 100)
1	2	3	4	5
სამტრესტის აპარატი	1613.6	929.9	(683.7)	57.6
პროგრამა „მედინერიანი განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“	600.0	416.4	(183.6)	69.4

პროგრამა 'ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები -'	1000.0	729.0	(271.0)	72.9
ღვინის ლაბორატორიული კვლევა	45.8	1.2	(44.6)	2.6
პროგრამა '2008 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები -'	8000.0	6394.4	(1605.6)	79.9
პროგრამა "დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფეხუავის ჯიშის ვენახის ჩანაცვლების ღონისძიებები"	700.0	202.2	(497.8)	28.9
პროგრამა "ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქაწითელის ჯიშის ვენახის ჩანაცვლების ღონისძიებები"	300.0	272.6	(27.4)	90.9

2009 წელი (ათასი ლარი)

დასახელება	ღამისტებლი გეგმა	მოხველე გადახდა (საკაშო ხარჯი)	ფაქტორიზაცია ხარჯი	გადახრასაკაშო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმის შორის (3-2)	გადახრა ფაქტორიზ ხარჯსა და საკაშო ხარჯს შორის (4-3)	ათვისება % (3 / 2 X 100)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგურება	12014.0	10040.1		(1973.9)		83.6
ხარჯები (მათ შორის)	8914.0	7006.8	7023.0	(1907.2)	16.2	78.6
სუბსიდიები	3410.6	1532.0	1527.4	(1878.6)	(4.6)	44.9
სხვადასხვა ხარჯები	5504.0	5474.8	5474.8	(29.2)	-	99.5
ძირითადი კაპიტალის მოხმარება			20.7	-	20.7	
არაფინანსური აქტივი	100.0	33.3		(66.7)		33.3
ფინანსური აქტივების ზრდა	3000.0	3000.0		-		100.0

პროგრამების მიხედვით


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა გადახდა (საკასო ხარჯი)	გადახდა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის (3-2)	ათველსება % (3 / 2 X 100)
1	2	3	4	5
სამტრესტის აპარატი	2310.0	1004.4	(1305.6)	43.5
პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“	3000.0	3000.0	-	100.0
პროგრამა „ღვინის ღამისარიტორიული კვლევა“	150.0	150.0	(150.0)	0
პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“	750.0	332.4	(417.6)	44.3
პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“	5704.0	5609.6	(94.4)	98.3
პროგრამა „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“	100.0	93.7	(6.3)	93.7

2008 წელს ბიუჯეტის განაცხადით მოთხოვნილი და დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3823.0 ათ. ლარს, დაზუსტებული გეგმა 12259.4 ათ ლარს(დამტკიცებულის 320.7%), გადახდამ (საკასო ხარჯი) შეადგინა 8945.7 ათ.ლარი (დაზუსტებულის 73%), ანუ აუთვისებელი დარჩა 3313.7 ათ.ლარი.

2009 წელს ბიუჯეტის განაცხადით მოთხოვნილი და დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4250.0 ათ.ლარს, დაზუსტებული გეგმა 12014.0 ათ.ლარს(დამტკიცებულის 283%), საკასო ხარჯი გაწეულია 10040.1 ათ.ლარის (დაზუსტებულის 83.5%) ოდენობით, ხოლო აუთვისებელი დარჩა 1974.0 ათ.ლარი.

საკასო ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათ. ლარებში)

2008წ.



2009წ



ბიუჯეტის განაცხადების გაანგარიშება ძირითადად ეყრდნობა წინა წლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯების ოდენობას და სამინისტროდან მიღებული დაფინანსების ზღვრულ მოცულობას, თუმცა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად სხვადასხვა პროგრამების დაფინანსების უზრუნველსაყოფად ხშირად იცვლება (იზრდება ან მცირდება) წლის განმავლობაში გამოყოფილ ასიგნებათა ოდენობა. სამტრესტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად აპარატის და პროგრამული ხარჯებისათვის საბიუჯეტო განაცხადს, დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებსა და გადახდას (საკასო ხარჯი) შორის სხვაობები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, რომელიც განხილულია ქვემოთ.

სამტრესტის აპარატის ხარჯებისათვის ბიუჯეტის განაცხადით 2008 წელს მოთხოვნილია და დამტკიცებული 1723.3 ათ. ლარის დაფინანსება (მათ შორის სუბსიდიის მუხლით 1703.3 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 20.0 ათ ლარი). თავდაპირველი განაცხადით აპარატის დაფინანსების ზღვრული მოცულობა შეადგინდა 1173.3 ათ. ლარს. სამტრესტის ხელმძღვანელობის თხოვნით დაფინანსება გაიზარდა ღვინის ბოთლებზე დასაკრავი სპეციალური ჰოლოგრამების შესყიდვასთან დაკავშირებით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1613,6 ათ. ლარი, საიდანაც გაწეულია 929.9 ათ. ლარის საკასო ხარჯი, ასათვისებელი დარჩა 683.7 ათ. ლარი, რომელიც მირითადად ჰოლოგრამების შესყიდვისათვის იყო მოთხოვნილი.

2009 წელს საბიუჯეტო განაცხადით აპარატის ხარჯებისათვის მოთხოვნილი და დამტკიცებული იყო 3350.0 ათ. ლარი, მათ შორის 2250.0 ათ. ლარი სპეციალური ჰოლოგრამების შესყიდვის ხარჯებისათვის. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2310.0 ათ. ლარი (შემცირდა ჰოლოგრამებისათვის გამოყოფილი თანხა 1040.0 ათ. ლარით), საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 1004.4 ათ. ლარის ოდენობით. ასათვისებელი დარჩა 1305.6 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს ჰოლოგრამების შესყიდვის ხარჯებს 830.0 ათ. ლარს.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, სამტრესტთან შექმნილი მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მიერ ადგილწარმოშობის დასახელების (ა.დ.) ღვინოების დადებითად შეფასებისას პროდუქციის ეტიკეტზე სამტრესტის მიერ სპეციალური ჰოლოგრამის დატანებას, აღნიშვნით „მოწონებულია“³.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ადგილობრივ სავაჭრო ქსელში ჰოლოგრამის გარეშე იყიდებოდა ადგილწარმოშობის ღვინოები, ხოლო 2008–2009 წლებში საექსპორტოდ გატანილ

³ აღნიშვნული ქმედებით არ არის დაცული საქართველოს კანონის „ვაზისა და ღვინის შესახებ“ 31 –ე მუხლის მე 5–პუნქტის მოთხოვნა.

23160636 ცალი ღვინის ბოთლიდან ჰოლოგრამა დატანილია მხოლოდ 1991385 ცალ ბოთლზე. აღნიშნული ჰოლოგრამების გამოყენებით შესაძლებელი ხდებოდა შექმნილიყო მონაცემთა ბაზა, რომელიც მართული იქნებოდა ინტერნეტის საშუალებით და უზრუნველყოფდა მიდევნების მომსახურეობის განხორციელებას ("Track@Trace").

აღნიშნული ჰოლოგრამების შეძენა და შესაბამისად კომპანიებზე გაცემა სამტრესტის განმარტებით შეჩერებული იქნა შემდეგი მიზეზით, ღვინის მეწარმეები და ექსპორტიორები მიიჩნევდნენ, რომ ჰოლოგრამიანი ბოთლების ექსპორტის შემდეგ გართულდა არაჰოლოგრამიანი პროდუქციის რეალიზება, ანუ ერთი და იმავე კომპანიის ერთი და იგივე ღვინიდან უპირატესობა ბუნებრივია ჰოლოგრამიანს ენიჭებოდა და მოხდა უჰოლოგრამო, მაგრამ ასევე ხარისხიანი, კანონის შემოღებამდე ექსპორტირებული ღვინოპროდუქციის რეალიზაციის ჩავარდნა. ამან რეალური პრობლემა შეუქმნა მრავალ ქვეყანაში ქართული ღვინის იმპორტიორებს და შექმნა საშიშროება ექსპორტის შემცირებისა, რაც სერიოზულ არგუმენტად იქნა მიჩნეული სამტრესტის მიერ, რადგან მისი ფუნქციონირების არსი მდგომარეობს არა მარტო მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სახელმწიფო დონეზე რეგულირებასა და კონტროლში, არამედ იმ შესაბამისი საწარმოებისა და ექსპორტიორი ორგანიზაციების ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებაში, რომელთა ნორმალურ ფუნქციონირებაზე დიდადა დამოკიდებული დარგის მომავალი განვითარება.

სამტრესტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მათი რეალური მდგომარეობა და აღარ გააგრძელა ჰოლოგრამების შესყიდვა 2008 წელს გარდა ერთი მილიონი ცალისა, რომელიც იმ პერიოდისათვის უკვე შესყიდული ჰქონდა. ამავე დროს სამტრესტი ასევე აკვირდებოდა ვითარების გამოსწორებას საქართველოს ბაზარზეც, თუმცა 2009 წლის შესყიდვების გეგმაში გაწერილ იქნა 2.25 მლნ.ლარი, რადგანაც საჭიროებისამებრ შეიძლება დღის წესრიგში დამდგარიყო მათი შესყიდვის აუცილებლობა, რისი განხორციელებაც შესაძლოა გაჭიანურებულიყო და გართულებულიყო უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გაუწერლად, თუმცა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო არც 2009 წელს მოხდა მათი შესყიდვა.

სამტრესტის აპარატის საკასო ხარჯები აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საშუალოდ მთლიანი საკასო ხარჯის 10 %-ს შეადგენს. ფაქტობრივ ხარჯში ასახულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა). აღნიშნულის გათვალისწინებით 2008 წელს ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა 126.9 ათ.ლარი სუბსიდიის მუხლით მარაგების ჩამოწერის შედეგად წარმოიქმნა, ხოლო 2009 წელს 4.6 ათ.ლარის სხვაობა წარმოიქმნა მივლინების ქვემუხლში დებიტორული დავალიანების გამო.

შრომის ანაზღაურებაზე დაგეგმილი და ფაქტიურად დარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით

პერიოდი	გეგმით			ფაქტიური							
	შესტით მიმღებისავე	შესტით მომღებისავე	დაფინანსება	შესტით მომღებისავე რაოდენობა	შესტით დარიცხული ხელფასი	დარიცხული პრეტია	შესტით მომღებისავე რაოდენობა	შესტით დარიცხული ხელფასი	სულ ანგარიშული ხელფასი	სულ სხვაობა (10:4)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
2008	25	13	488.0	29	284.8	125.8	62	74.5	485.1	(2.9)	
2009	30	13	596.9	26	375.8	165.4	62	51.1	592.3	(4.6)	

შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტიურ მაჩვენებელს დამატებული აქვს მოკლევადიანი ხელშეკრულებებით (2-3 თვე) მოწვეული ექსპერტ-დეგუსტატორების რაოდენობა. 2009 წელს გაიზარდა შტატით მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო და წლიურად ერთ საშტატო ერთეულზე შეადგინა 4.6 ათ.ლარი(32%). პრემიები გაცემულია შტატით მომუშავე ყველა თანამშრომლებზე დღესასწაულებთან დაკავშირებით ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

კომუნალურ მომსახურეობაზე 2008 წელს გახარჯულია 5.8 ათ.ლარი, ხოლო 2009 წელს 14.7 ათ.ლარი.

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე 2008 წელს გახარჯულია 113.7 ათ. ლარი, ხოლო 2009 წელს 62.1 ათ.ლარი. აღნიშნული ხარჯები მოიცავს ღვინო-დაეგუსტაციის კონკურსის მოწყობის და ბულგარეთსა და ისრაელში ქართული ადგილწარმოშობის ღვინოების დასახელების მიმართ სასამართლო დავების ხარჯებს (ორივე პროცესი დამთავრდა სამტრესტისათვის დადებითი შედეგით და გაუქმდა მათი რეგისტრაცია).

მარაგების შეძენაზე 2008 წელს გახარჯულია 194.4 ათ.ლარი, ხოლო 2009 წელს 55.7 ათ.ლარი.

2008 წლის 1 აპრილისათვის სამტრესტს მარაგების საბალანსო ანგარიშზე ნაშთად ერიცხებოდა 25.9 ათ.ლარის ღირებულების 15.3 ათ.ლიტრი(საავტომობილო საწვავი) ბენზინი. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შეძენილი აქვს 23.8 ათ.ლარის 15.0 ათ. ლიტრი, ხოლო გახარჯული 35.9ათ. ლარის 21.9ათ. ლიტრი. 2010 წლის 1 იანვრისათვის ნაშთად ერიცხებოდა 13.844 ათ. ლარის 8.45 ათ.ლიტრი. ამ პერიოდში გახარჯული საწვავის 41%(9.0ათ.ლიტრი) ჩამოწერილია ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ მივლინებებზე, როგორც ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან სამტრესტის დროებით სარგებლობაში გადმოცემულ ავტომობილებზე, ხოლო დანარჩენი კი სამტრესტის კუთვნილ 3 ავტომანქანაზე დადგენილი ყოველთვიური ლიმიტების ფარგლებში(450 ლ; 300ლ; 300ლ).

აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდის დასაწყისში შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 2.0 ათ.ლარის 149 ცალი სხვადასხვა ღირებულებისა და დასახელების მობილური ტელეფონის სასაუბრო ბარათი, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შეძენილია სულ 13.5 ათ.ლარის 697 ცალი, ხოლო გაცემულია 11.3 ათ.ლარის 647 ცალი ბარათი. პერიოდის ბოლოს სამტრესტს ნაშთად ერიცხებოდა 4.3 ათ.ლარის 199 ცალი ბარათი. აღნიშნული ბარათები დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ემლევა, მხოლოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელს (240 ლ. თვეში), რაც შეადგენს აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდში გახარჯული ბარათების ჯამური ღირებულების 33%-ს (3.7 ათ.ლარი), დანარჩენი გახარჯულია ბრძანებების შესაბამისად მივლინებებში მყოფი სამტრეტის თანამშრომლების მათ შორის ხელმძღვანელობის მიერ.

სსიპ-ის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად 2009 წლის 26 ივნისიდან სამტრესტს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, როგორც მაკონტროლებელთან უნდა შეეთანხმებინა თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფ სახსრებზე, შესაძენ საწვავსა და საკომუნიკაციო ხარჯებზე განსაზღვრული ლიმიტები, რაც არ განხორციელებულა⁴.

პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“-სათვის 2008 წელს მოთხოვნილი და დამტკიცებული იყო 1000.0 ათ.ლარის დაფინანსება (პროგრამა ითვალისწინებდა მარკეტინგულ კვლევასა და უცხოური ბაზრის შესწავლას), რომელიც 2008 წლის მარტში სამტრესტის და სამინისტროს თხოვნის საფუძველზე (ცნობა N110 17.03.08) შემცირდა 400.0 ათ. ლარით. აღნიშნული დასაბუთებულია იმით, რომ დიდ ბრიტანეთში სარეკლამო კამპანია ჩატარდებოდა ერთჯერადად და არა მთელი წლის განმავლობაში. დარჩენილი 600.0 ათ.ლარიდან ათვისებულ იქნა მხოლოდ 416.4 ათ.ლარი. ხარჯები გაწეულია შემდეგი დანიშნულებით: აშშ-ში ჩატარდა ღონისძიებები ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით (252.5 ათ.ლარი), ლონდონის ღვინის მუზეუმში მოეწყო ქართული კუთხე (104.2 ათ.ლარი), გაიწია წარმომადგენლობითი ხარჯები (სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრების მიღება-გაცილების ხარჯები) და უცხოურ რეიტინგულ ჟურნალებში მომზადდა სტატიები ქართული მეღვინეობის ტრადიციებზე (59.7 ათ.ლარი). აუთვისებელი დარჩა 183.6 ათ.ლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა სხვადასხვა სამომხმარებლო ბაზრების, (მათ შორის უკრაინის) შესწავლასა და ათვისებას.

2009 წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსება თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო. 2009 წლის 11 ივლისის ბიუჯეტის კანონით დამტკიცდა ფინანსური აქტივის (სესხის) მუხლით 14700.0 ათ.ლარი, რომელიც, აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის N

⁴ არის დაცული „საჯარო სამართლის იურიდიურ ლი პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის I პუნქტის დ¹). ქვეპუნქტის მოთხოვნა.

375 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ 3000.0 ათ.ლარს. აღნიშნული დაფინანსების მოთხოვნა სამტრესტის განმარტებით განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ღვინის საწარმოებში დიდი ოდენობით გარდამავალი ნაშთი დაგროვდა, რამაც სერიოზული პრობლემა შეუქმნა ყურძნის შესყიდვა—გადამუშავებას, ამასთან მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნილება საბრენდე სპირტებზე.

2009წლის 21 აგვისტოს(ხარჯთაღრიცხვის ცნობა N472) სამტრესტისა და სამინისტროს წერილების საფუძველზე 14700.0 ათ. ლარიდან, აუთვისებლობის გამო 4374.0 ათ.ლარი სუბსიდიის მუხლიდან გადატანილ იქნა სხვა ხარჯების მუხლში პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“—სთვის(წინასწარი პროგნოზით ყურძნის მაღალი მოსავლის გამო). საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 აგვისტოს N626 განკარგულებით შპს „რთველი 2008“ და სს „აკურა“—სთან უნდა გაფორმებულიყო სასესხო ხელშეკრულება თითოეულზე 3663.0 ათ.ლარზე, სულ 7326.0 ათ.ლარზე. იმის გამო, რომ აღნიშნული კომპანიები იყვნენ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები და რომ არ მომხდარიყო მათ მიერ სესხით სარგებლობის პროცენტის გადახდა, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 27 აგვისტოს N635 განკარგულებით ზემოაღნიშნულ კომპანიებს გაეზარდათ საწედებო კაპიტალი და გაუქმებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 აგვისტოს N626 განკარგულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსთა სამინისტრომ 2009 წლის 18 სექტემბრის ხარჯთაღრიცხვის N 508 ცნობის თანახმად პროგრამის დაფინანსებიდან 7326.0 ათ.ლარი გადატანა რეგიონალური განვითარების პროექტის ორგანიზაციულ კოდში(2311).

საბოლოოდ პროგრამის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3000.0 ათ.ლარი, გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 2009 წლის ივნისში შპს „რუჯთან“ და შპს „გუგულთან“ 1500.0 ათ.-1500.0 ათ. ლარზე თანაბარწილად. ხელშეკრულების თანახმად უნდა შესყიდულიყო ღვინომასალები და გადამუშავებულიყო საბრენდე სპირტებად. სესხი იყო 5 წლიანი, წლიური 5%-იანი განაკვეთით. სასესხო ხელშეკრულების თანახმად კონტროლი სესხის მიზნობრივად ათვისებაზე ევალება სამინისტროს.

პროგრამაზე „ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები“ 2008 წელს მოთხოვნილი და დამტკიცებული იყო 1000.0 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა კახეთის რეგიონში „ვაქირულას“ ჰიბრიდული ჯიშის ვაზის ნარგაობებისაგან გათავისუფლებას („ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ვაზის ჰიბრიდული ჯიშის გამოყენება სამრეწველო დანიშნულებით აკრძალულია). გამოთავისუფლდა 364.4 ჰა. ფართობი. 1

ჰა.-ზე კომპენსაციის თანხა განისაზღვრა 2.0 ათ.ლარით. სულ გაცემულმა კომპენსაციამ 728.8 ათ.ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის N725 და 19 ნოემბრის N766 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი პროგრამები: „ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქაწითელის ჯიშის ვენახების ჩანაცვლების ღონისძიებები (პროგრამის ღირებულება 300.0 ათ.ლარი), გამოთავისუფლდა 136.3 ჰა. ფართი, გაცემულია კომპენსაცია 272.6 ათ.ლარი; „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფერავის ჯიშის ვენახების ჩანაცვლების ღონისძიებები“ (პროგრამის ღირებულება 700.0 ათ.ლარი), ათვისებულ იქნა 202.2 ათ. ლარი, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად პროგრამის მსვლელობისას ადგილზე გაირკვა, რომ სოფელ ფიროსმანში ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობას მრავალწლიანი იჯარით ჰქონდა გადაცემული და მისი მფლობელი იყო სახელმწიფო. ბუნებრივია ამ კატეგორიის მოსახლეობაზე არ გაიცემოდა კომპენსაცია, რამაც გამოიწვია 497.8 ათ.ლარის აუთვისებლობა.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 ნოემბრის N878 განკარგულებით განხორციელდა პროგრამა „ჰიბრიდული ჯიშის ნარგავების ჩანაცვლების ღონისძიებები“, რაზედაც გამოიყო 100.0 ათ.ლარი (1 ჰა.-ზე 1 ათ.ლარის გასაცემად), პროგრამის ფარგლებში გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში გამოთავისუფლდა 93.7 ჰა. ფართობი და მოსახლეობაზე შესაბამისად გაიცა 93.7 ათ. ლარი.

სამტრესტის განმარტებით, პროგრამა ეფუძნებოდა ცალკეული ფიზიკური პირების სურვილს ვენახების განახლებასთან დაკავშირებით, რაც დადასტურებულია მათი წარმოდგენილი განცხადებებით შესაბამის მუნიციპალიტეტებში. პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა გამოწვეულია იმის გამო, რომ პროგრამაში მონაწილეობა იყო ნებაყოფილობითი და ზემოხსენებული ფიზიკური პირები წინასწარ გამოთქმული სურვილის მიუხედავად თავს იკავებდნენ პროგრამაში მონაწილეობისაგან. თუმცა, სამტრესტს მიაჩნია, რომ პროგრამა უნდა გაგრძელდეს, რათა მათი ინფორმაციით მარტო კახეთის რეგიონში გასახლებელი იქნება 700-800 ჰა. ვენახის ფართობი.

პროგრამა „2008 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ განსახორციელებლად მთავრობის 2008 წლის 3 სექტემბრის N555 განკარგულებით, ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის ჩაბარებულ 1 კგ. ყურძენზე დამატებით ფიზიკურ პირს უნაზღაურდებოდა რქაწითელის ჯიშის ყურძენზე 0.15 ლარი, საფერავზე 0.25 ლარი, ალექსანდროულ-მუჯურეთულზე 1 ლარი.

მოსალოდნელ მოსავალზე გაკეთდა პირველადი (საპროგნოზო) გათვლა და პროგრამის დასაფინანსებლად მოთხვნილ იქნა 9000.0 ათ.ლარი. მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის N561 განკარგულების თანახმად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 5000.0 ათ.ლარი, ხოლო სამინისტროს ასიგნებებიდან 4000.0 ათ.ლარი. აღნიშნული 9000.0 ათ. ლარიდან 8500.0 ათ. ლარი გამოყოფილი იქნა სხვა ხარჯების მუხლით(ფიზიკურ პირებზე გადასარიცხი თანხა), ხოლო 500.0 ათ.ლარი სუბსიდიის მუხლით (რეკლამისა და ვაუჩერების ზეჭდვის ხარჯები). აუთვისებლობის გამო 1000.0 ათ.ლარი გადატანილი იქნა (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N 758 19.11.2008 და N 817 08.12.2008 წელი) ვენახების ჩანაცვლების პროგრამაში. დარჩენილი 8000.0 ათ.ლარიდან ათვისებული იქნა 6394.5 ათ.ლარი.

პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ განსახორციელებლად მოსალოდნელ მოსავალზე გაკეთებული გაანგარიშებით(ტარიფები 1კგ. ყურძენზე იგივეა, რაც 2008 წელს), 11 ივლისის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი იქნა 10000.0 ათ.ლარი(ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N 374 15.07.2009). შემდგომში პროგრამას დაემატა 4374.0 ათ.ლარი(ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N 472 21.08.2009), რაც სამტრესტის განმარტებით განპირობებული იყო მოსალოდნელი მაღალი მოსავლიანობით. ფაქტიურად 14374.0 ათ.ლარის ასიგნებიდან დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5704.0 ათ.ლარი(საკასო ხარჯი 5609.6 ათ.ლარი), ხოლო აუთვისებელი დარჩა 8670.0 ათ.ლარი. აღნიშნული თანხით პროგრამის დაფინანსების შემცირების თხოვნით სამტრესტმა სამინისტროს მიმართა 2009 წლის 13 ნოემბერს, რაც აისახა 2009 წლის ბიუჯეტის კანონში.

სამტრესტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მოსალოდნელ მოსავალზე გაკეთებული გათვლების საფუძველზე გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: რქაწითელის ჯიშის ყურძენს ფიზიკური პირები ყიდდნენ უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე ამას ღვინის კომპანიები სთავაზობდნენ მათ საკომპენსაციო თანხასთან ერთად, ასევე დიდი რაოდენობით ყურძენი იყიდებოდა სამომხმარებლო ბაზარზეც. ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ჩაბარებელი ყურძნის ღირებულების გაცემა ხორციელდებოდა სამტრესტისა და სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გაცემული ვაუჩერის საფუძველზე სახალხო ბანკის მეშვეობით, სადაც წინასწარ გადარიცხული იყო სავარაუდო თანხა. შემდგომ ეტაპზე დგებოდა მიღება-ჩაბარების აქტები სამტრესტსა და სახალხო ბანკს შორის განაღდებული ვაუჩერების შესახებ.

პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებები“ – ს დასაფინანსებლად 2009 წელს გამოიყო 750.0 ათ. ლარი, აქედან სხვასდასხვა ღონისძიებებისათვის ათვისებული იქნა 332.4 ათ.ლარი, მათ შორის: 2009 წლის მარტში თურქეთის ქალაქ ქემერში

მოეწყო „ქართული ღვინის დღეები”(50.0ათ.ლარი), ქალაქ იზმირში მასისის თვეში ჩატარდა საერთაშორისო გამოფენა „ვინო-ლაივი”(40.ათ.ლარი). იმავე წელს ივნისში გაიმართა გამოფენა თბილისში ექსპო-ჯორჯიაში (90.0 ათ.ლარი). პროგრამის ფარგლებში მოხდა ლონდონის ღვინის მუშეუმში (ვინოპოლისი) ქართული კუთხის განახლება(90.0ათ.ლარი). ბრიტანეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით დაფინანსდა 32 გვერდიანი სპეციალური გამოცემა, ყველაზე პრესტიულ გამომცემლობა „ჰერცერსში”, რომელიც დაიბაჭდა 6.2 ათასიანი ტირაჟით და გავრცელდა ბრიტანეთის მაშტაბით (40.0 ათ.ლარი).

2010 წელს საქართველოში ჩასატარებელი ღვინის საერთაშორისო კონგრესის წინა მოსამზადებელი სამუშაოს (99.5 ათ. ლარი) შესყიდვის განხორციელება არ გახდა აუცილებელი 2009 წელს და აქედან გამომდინარე აღნიშნული შესყიდვა გათვალისწინებული იქნა „მსოფლიო ღვინის კონგრესი”-ს 2010 წლის პროგრამაში. ასევე 2009 წელს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრების ჩამოუსვლელობის გამო მათ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები არ განხორციელებულა, ამ მიზეზით პროგრამული ხარჯი (120.0 ათ.ლარი) დარჩა აუთვისებელი.

პროგრამა „ღვინის ლაბორატორიულ კვლევა”-ზე 2008 წელს დაგეგმილი იყო 100.0 ათ. ლარი. (გეგმის კორექტირების შემდეგ თანხამ შეადგინა 45.8 ათ. ლარი). „ვაზისა და ღვინის შესახებ”, საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად პროგრამა ითვალისწინებდა ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ნიმუშების შემოწმების მიზნით ალკოჰოლიანი სასმელების სერთიფირებულ პარტიიდან ამოღებულ ნიმუშთან შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარებას (საინსპექციო კონტროლ⁵ი).

სამტრესტის განმარტებით შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში, იქმნებოდა შესაძლებლობა და ალბათობა საექსპორტოდ გამზადებული ნიმუშების პირველადი დასკვნის გამცემ ლაბორატორიაში მოხვედრისა, რის გამოც დეპარტამენტმა მიმართა თხოვნით სააგენტოს, რათა ეწარმოებინათ ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულების გაფორმება. შეთანხმება სააგენტოსთან არ იქნა მიღწეული, რის გამოც პროგრამისათვის გამყოფილი თანხიდან ათვისებული იქნა, მხოლოდ 1.1 ათ. ლარი. 2009 წელს აღნიშნულ პროგრამაზე გამოყოფილი იქნა 150.0 ათ. ლარი, მაგრამ სამტრესტის მიერ არ ჩაითვალა საჭიროდ აღნიშნული შესყიდვის განხორციელება, იმ მოტივით, რომ 2009 წელს გასულ პერიოდთან შედარებით სამტრესტთან არსებული მუდმივმოქმედი სადევუსტაციო კომისიისათვის დასაგემოვნებლად

⁵ უზულებელყოფილია „ვაზისა და ღვინის შესახებ” საქართველოს კანონის 33² –ე მუხლის მე – 6 პუნქტის მოთხოვნა.

წარმოდგენილი ღვინოები იმდენად ხარისხიანი იყო, რომ განმეორებით ნიმუშების გადამოწმების ეჭვს არ შადებდა.

ყოველივე ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სამტრესტის მიერ არ ხორციელდება წინასწარი მარკეტინგული პლავები. კერძოდ: წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი პროგრამული ღონისძიებებისათვის რეალურთან მიახლოებული ხარჯების პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც პირდაპირ კავშირშია სამტრესტის მიერ ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების არასრულყოფილად ათვისებასა და შესაბამისად კანონმდებლობით განსაზღვრული მისი მირითადი ფუნქციების არასათანადოდ შესრულებასთან.

მიუხედავად სამტრესტის მიერ გაწეული საქმიანობისა მეღვინეობის განვითარებისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, იგი სრულყოფილად ვერ ასრულებს თავის მირითად ფუნქციას მევენახეობა–მეღვინეობის დარგის რეგულირების საქმეში, რაც მიანიშნებს მის მიერ დებულების თანახმად განსახორციელებელი ზედამხედველობისა და კონტროლის დონის სისუსტეზე.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამომხმარებლო ბაზარზე აკრძალულია ადგილწარმოშობის ღვინოების რეალიზაცია შესაბამისობის სერთიფიკატის გარეშე. შესაბამისობის შეფასების პროცედურები „პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დგინდება ტექნიკური რეგლამენტისა (რომელიც სამტრესტს არ გააჩნია) და სავალდებულო დეგუსტაციის საფუძველზე.

სამტრესტი მასთან შექმნილი სადეგუსტაციო კომისიის მიერ ჩატარებული დეგუსტაციის შედეგების საფუძველზე და ისიც, მხოლოდ ადგილწარმოშობის ღვინოების საექსპორტო პარტიაზე გასცემს შესაბამისობის სერთიფიკატს, რის შედეგადაც სამომხმარებლო ბაზარზე ადგილწარმოშობის ღვინოები შესაბამისობის სერთიფიკატის გარეშე იყიდება⁶.

სამტრესტის ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა შექმნილიყო მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭო 16 წევრის შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებდა რეკომენდაციებს დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესახებ, თუმცა დებულების ეს მოთხოვნა შესრულებული არ არის⁷.

⁶ უცულებელყოფილა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ა.ა.). ქვეპუნქტის; 33² – ე მუხლის პირველი და მე- 3 პუნქტების; „პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნები;

⁷ არ არის დაცული სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ სამტრესტის დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნა.

დებულება დამტკიცებულია 2003 წელს, რომლის შემდგომ პერიოდში შეიცვალა სამინისტროს დასახელება და შესაბამისმა საკანონმდებლო აქტებმაც განიცადეს ცვლილებები, მართებული იქნებოდა თუ სამტრესტი სამინისტროსთან ერთად განაახლებდა დებულებას.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული მუხლები ავალდებულებდა სამინისტროს მთელი რიგი წესებისა და რეგლამენტების შემუშავებას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა სამტრესტის თავისი ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებისას, რაც აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში არ განხორციელებულა. კერძოდ, უნდა შედგენილიყო შემდეგი რეგლამენტები და წესები: ღვინოების წარმოების ზოგადი წესები და ტექნიკური რეგლამენტი; ნორმატიული აქტი „ვაზის სარგავი და სამყნობი მასალების, ყურძნისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის რეგლამენტები და დანაკარგების რეგლამენტური ნორმები“; ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობის რეგლამენტი; ვაზის სამყნობი და სარგავი მასალების წარმოებაზე, რეალიზაციაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე, ექსპორტ-იმპორტზე სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით კონტროლს უნდა ახორციელებდეს სამტრესტი; ახალი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების ექსკულუზიური უფლების მინიჭების, შეცვლისა და შეწყვეტის წესი; ადგილწარმოშობის დასახელების წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის წესი; სუფრისა და მხარის ღვინოების ჩამოსასხამი სახით რეალიზაციის ღვინის სპეციალიზირებულ სავაჭრო ობიექტებში რეგულირების წესი⁸.

2.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მიერ ადგილწარმოშობის დასახელების (ა.დ.) ღვინოების დადებითად შეფასებისას, სამტრესტმა უზრუნველყოს ყველა ბოთლის ეტიკეტზე სპეციალური ჰოლოგრამის დატანა აღნიშვნით „მოწონებულია“.
- მკაცრად აკონტროლოს ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა და შესაბამისად ამ პროგრამისათვის გამოყოფილი თანხების სრულყოფილა ათვისება, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლი, რათა სავალდებულო დეგუსტაცია გაიაროს ყველა ადგილწარმოშობის ღვინომ შესაბასობის სერთიფიკატის მისაღებად.

⁸ არ არის დაცული საქართველოს კანონის „ვაზისა და ღვინის შესახებ“ შემდეგი მუხლებისა და შესაბამისი პუნქტების მოთხოვნები: მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი; 33⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის 8). ქვეპუნქტი; მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი; მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი; მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი; 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

- განახორციელოს მარკეტინგული კვლევები, წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი პროგრამული ღონისძიებებისათვის რეალურთან მიახლოებული ხარჯების პროგნოზირება, დაგეგმვა და ასიგნებების მაქსიმალური ათვისება.
 - ზემდგომ მაკონტროლებელს შეუთანხმოს თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, შესაძენ საწვავსა და საკომუნიკაციო ხარჯებზე განსაზღვრული ლიმიტები.
 - სამტრესტმა სამინისტროსთან ერთად განაახლოს დებულება
3. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა.

3.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის N 561 განკარგულებით, 2008 წლის რთველის ეფექტურად ჩატარების უზრუნველსაყოფად, პროგრამა „2008 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებზე“ გამოყოფილი იქნა 5000.0 ათ. ლარი, აღნიშნული თანხა ათვისებულია მიზნობრივად.

2009 წელს მთავრობის 20 მაისის N375 განკარგულებით, პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად საკრედიტო რესურსად, ორ თანაბარ ეტაპად უნდა გამოყოფილიყო 6 000.0 ათასი ლარი. საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ 3 000.0 ათას ლარზე, საიდანაც სესხის სახით 1 500.0 ათასი ლარი გაცემულ იქნა შპს „რუჯზე“, ხოლო 1500.0 ათასი ლარი შპს „გუგულზე“. აღნიშნული თანხა ირიცხება სსიპ-„სამტრესტის“ დებიტორულ დავალიანებებში, მის მიზნობრივ ათვისებაზე კონტროლი ევალება სამინისტროს.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

4.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში სამტრესტს გაფორმებული აქვს 135 ხელშეკრულება სულ 1737.0 ათას ლარზე. მათ შორის 2008 წლის (01.04-31.12) პერიოდში 53 ხელშეკრულება 1079.0 ათ.ლარზე ყველა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. საკასო ხარჯი შეადგენს 947.0 ათ.ლარს. 2009 წელს გაფორმებულია 82 ხელშეკრულება 658.0 ათ. ლარზე, მათ შორის 85.7 ათ.ლარი ფასთა კოტირებით განხორციელებულ შესყიდვაზე, ხოლო დანარჩენი თანხა ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზეა გახარჯული. საკასო ხარჯი შეადგენს 538.0 ათ.ლარს. სხვაობა სახელშეკრულებო თანხებსა და საკასო ხარჯს

შორის 119.0 ათ.ლარია. ზემოაღნიშნული სხვაობების წარმოშობა გამოწვეულია იმით, რომ აღარ დადგა ამა თუ იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მთლიანად ან გარკვეული ნაწილის გადახდის საჭიროება.

**სამტრეტის მიერ 2008 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ცხრილი**

(ათას ლარებში)

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულებების რაოდენობა	შესყიდვების გეგმით განსაზღვრული ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება	სულ ხელშეკრულებათა ფარგლებში განხორციელებული გადახდა(საკასო)
ტენდერი	--	539.0	--	--
ფასთა კოტირება	1 *	30.0	29.0	--
ე.პ.მ.	81 (მათ შორის 53 აუდიტის პერიოდში 01.04-31.12)	1521.0	1119.0(მათ შორის 1079.0აუდიტის პერიოდში 01.04-31.12)	947.0
სულ	82	2090.0	1148.0	947.0

* აღნიშნული შესყიდვა განხორციელებულია 2008 წლის პირველ კვარტალში აუდიტს დაქვემდებარებულ
პერიოდამდე.

2009 წელი

(ათას ლარებში)

შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულებათა რაოდენობა	შესყიდვების გეგმით განსაზღვრული ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება	სულ ხელშეკრულებათა ფარგლებში განხორციელებული გადახდა
ტენდერი	--	1300.0	--	--
ფასთა კოტირება	1	190.0	85.7	85.7
ე.პ.მ.	81	1200.0	572.3	452.7
სულ	82	2690.0	658.0	538.0

2008 წლის 4 დეკემბერის საბოლოო კორექტირებული და დამტკიცებული გეგმის თანახმად,
სახელმწიფო შესყიდვებზე გათვალისწინებული 2090.0 ათ.ლარიდან, ხელშეკრულებები გაფორმდა
1148.0 ათ.ლარზე, სხვაობამ შეადგინა 942.0 ათ. ლარი (გეგმის 45%). ასევე 2009 წლის 1 დეკემბერს
დამტკიცებული გეგმით შესყიდვებზე გათვალისწინებული იყო 2690.0 ათ. ლარი, ხოლო

ხელშეკრულებები გაფორმდა 658.0 ათ.ლარზე, მათ შორის სხვაობამ შეადგენა 2033.0 ათ. ლარი (გეგმის 75%).

სამტრესტის განმარტებით თანხების აუთვისებლობის მიზეზი გახდა 2008 – 2009 წელს დაგეგმილი ისეთი ღონისძიებების მთლიანად ან ნაწილობრივ განუხორციელებლობა, როგორებიცაა: ღვინის ბოთლებზე დასაკრავი ჰოლოგრამების შესყიდვა 2008 წელს 539.2 ათ.ლარი; 2009 წელს 830.0 ათ. ლარი; რთველთან დაკავშირებული სარეკლამო ხარჯები 2008 წელს 222.2 ათ.ლარი; 2009 წელს 340.0 ათ.ლარი; ასევე 2008 წელს პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების“ დაფინანსებიდან აუთვისებელი დარჩა 183.6 ათ. ლარი; 2009 წელს აუთვისებელი დარჩა ავტომანქანების შესყიდვაზე განკუთვნილი 50.0 ათ.ლარი; ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები 99.5 ათ.ლარი; ღვინის ლაბორატორიულ კვლევაზე განკუთვნილი 150.0 ათ.ლარი და სხვა. სამტრესტის მიერ 2008-2009 წლების სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტების შემუშავების დროს რიგ შემთხვევებში გათვალისწინებული არ ყოფილა შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, რაც სამტრესტის მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების არარაციონალურ დაგეგმვაზე მიგვანიშნებს⁹.

თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 5.0 ათ. ლარს, სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს შესყიდვების პროცედურების დაწყების შესახებ სააგენტოს, რაც სამტრესტის მიერ არ განხორციელებულა რიგ შემთხვევებში, ესენია: ხელშეკრულება (N 39/01 08.07.2008) 27.6 ათ. ლარზე, ფრანგულ ჟურნალში საქართველოს შესახებ სტატიების დაბეჭდვაზე; ხელშეკრულება (N 63/1 21.11.08) 25 ათ.ლარზე, ისრაელში ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირებაზე შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით; ხელშეკრულება (N63/2 21.11.08) 15.0 ათ. ლარზე ბულგარეთში, ფირმა „ვლადიმერ დისტილერ კომპანის“ მიერ სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირებული ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით¹⁰.

⁹ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 9 მუხლის 6 პუნქტის ა).ქვეპუნქტის მოთხოვნა

¹⁰ .აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მუნქტის მოთხოვნა.

ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვისას, თუ საქონლის ან მომსახურების ღირებულება აღემატება 50 ათ.ლარს, ხოლო სამუშაოს შესყიდვის ღირებულება 120.0 ათ. ლარს, სააგენტოს შესყიდვის შესახებ ანგარიში წარედგინება ხელშეკრულების დადებიდან

არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, რაც 2008 წელს სამტრესტის მიერ უგულებელყოფილია¹¹.

ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვის შემთხვევაში, თუ საქონლის ან მომსახურების ღირებულება აღემატება 50.0 ათ.ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა 120.0 ათ.ლარს შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში გაზეთ “24 საათში” გამოაქვეყნოს ინფორმაცია ხელშეკრულების დადების შესახებ, რაც ასევე არ არის შესრულებული¹².

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით სამტრესტს ევალებოდა კოორდინატორის გამოყოფა, ან ინსპექტორების ჯგუფის შექმნა, რაც სამსახურის მიერ არ განხორციელებულა გარდა ორი შემთხვევისა¹³.

2008 წლის 23 დეკემბრის N 76 ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა ლონდონის ღვინის მუზეუმში ქართული კუთხის განახლება და აღნიშნული ფართის ქირაობა (ეპმ)-ს საშუალებით, რაზედაც გაიხარჯა 136.3 ათ. ლარი, რაც წინასწარ იქნა გადარიცხული მიმწოდებლისათვის მისი მხრიდან ყოველგვარი საგარანტიო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, თუმცა წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას საავანსო თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული¹⁴.

¹¹. აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 29 მუხლის 7 პუნქტის მოთხოვნა.

¹² აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

¹³ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნები.

¹⁴ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის, მე-18 პუნქტის მოთხოვნები.

2009 წლის 8 მაისის N 38ხელშეკრულების თანახმად დიდ ბრიტანეთში განხორციელდა ჟურნალების ბეჭდვა რაზედაც გახარჯულ იქნა 40.8 ათ.ლარი, მაგრამ ხელშეკრულებაში მითითებული არ ყოფილა მათი რაოდენობა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ(N 42–19.05.09) ხელშეკრულებაში, რომელიც მაგთიკომთან არის გაფორმებული საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირების მომსახურების შესყიდვაზე არ არის დაფიქსირებული მთლიანი თანხის რაოდენობა, ხოლო ხაზინაში წარდგენილ ვალდებულების დოკუმენტში კი მითითებულია 2.5 ათ. ლარი, მაგრამ კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნეს ისეთი აუცილებელი ელემენტები და პირობები, როგორებიცაა ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობა და მისი ჯამური ღირებულება¹⁵.

2009 წლის 22 მაისის N43 ხელშეკრულებაში (ისრაელში ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირებაზე შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით) 2009 წლის 1 ივნისს განხორციელდა ცვლილება და მველი სახელშეკრულებო თანხა 25.0 ათ. ლარიდან 50.0 ათ. ლარამდე გაიზარდა, მაგრამ არც შესყიდვების გეგმაში და არც სამტრესტის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების ნუსხაში არ აისახა, აქედან გამომდინარე დებულების ის მოთხოვნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში სააგენტოს უნდა მიეწოდოს სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმა, ხოლო ფინანსური პარამეტრით ცვლილების შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ დამატებით უნდა მოახდინოს წერილობითი ფორმით მისი დასაბუთება უგულებელყოფილია¹⁶.

უნდა აღინიშნოს, რომ 2008-2009 წლებში შესყიდვების თავდაპირველ გეგმაში გათვალისწინებული 7 ტენდერიდან არც ერთი არ იქნა ჩატარებული, თუმცა ერთ-ერთ მათგანზე დაწყებული სატენდერო პროცედურები შეწყვეტილ იქნა სატენდერო კომისიის მიერ. კერძოდ 2008 წლის 14 თებერვალს სამტრესტში შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის იქმი N1 თანახმად დადგინდა დამტკიცებულიყო სატენდერო კომისიის აპარატის მიერ ღვინის ბოთლზე დასატანი ხარისხის ნიშნის „ჰოლოგრამების“ და თანმდევი მომსახურებით შესყიდვის თაობაზე სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების

¹⁵ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების მოთხოვნები.

¹⁶ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

პროექტი. ასევე დაევალა სატენდერო კომისიის აპარატს ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადების დადგენილი წესით გამოქვეყნება არაუგვიანეს 2008 წლის 18 თებერვლისა. 2008 წლის 14 მარტს სატენდერო კომისიის სხდომის N 2 ოქმის თანახმად, სადაც სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებდა შემოსულ სატენდერო წინადადებათა განხილვას, მონაწილეობის მიღების მსურველი სამი კომპანიიდან სატენდერო წინადადება დადგენილ ვადაში წარმოადგინა, მხოლოდ ერთმა კომპანიამ („არჯო ვიგინსა“—საფრანგეთი), რომლის კონვერტის გახსნის შემდგომ გამოცხადდა ფასი 691.7 ათ. ლარი, 2.5 მლნ. ცალი ჰოლოგრამის მოწოდებისთვის, რომელსაც ექნებოდა თანმდევი მიდევნების ე.წ. “Track@Trace” მომსახურება, ანუ თან ახლდებოდა პროგრამა, რის საშუალებითაც შეიქმნებოდა მონაცემთა ბაზა და შესაძლებელი გახდებოდა მისი მართვა ინტერნეტის საშუალებით, თუმცა აღნიშნული მომსახურება და ჰოლოგრამის დაცვის ხარისხი სერიოზულად აძვირებდა (მინიმუმ აორმაგებდა) მის ფასს სამტრესტის მიერ ადრე შესყიდულ, საქართველოში დამზადებულ ჰოლოგრამებთან შედარებით. სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ კომისიის წევრები დეტალურად განიხილავდნენ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომლის შეფასებაც განხორციელდებოდა 2008 წლის 19 მარტს, თუმცა იგი საერთოდ აღარ განხორციელებულა¹⁷.

მოგვიანებით სამტრესტი თავის 2008 წლის 2 აპრილის N2-175 წერილით ატყობინებს სააგენტოს, რომ შესყიდვების თავისებურებებიდან გამომდინარე ტექნიკური საკითხების დაზუსტებისა და საქონლის მიწოდების ჩათვლით პროცედურების ხანგრძლივობა დაახლოებით 4 თვით უხანგრძლივდება, რაც გამოიწვევს ღვინის ექსპორტის შეჩერებას ჰოლოგრამების არასაკმარისი რაოდენობის გამო და ტენდერის პროცედურების განხორციელების პარალელურად გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ითხოვს 142,0 ათ. ლარის ღირებულების 1 მლნ. ცალი ჰოლოგრამის ერთ პირთან მოლაპარაკებით (ეპმ) შესყიდვის უფლების მიღებას, რაზედაც იღებს სააგენტოდან თანხმობას და 7 აპრილს აფორმებს ხელშეკრულებას მომწოდებელთან.

2008 წლის 24 აპრილის N3 სხდომის ოქმის თანახმად სატენდერო კომისიამ შეწყვიტა შესყიდვის პროცედურები იმ მოტივით, რომ მოცემული მომენტისათვის აღარ გახდა საჭირო ზემოაღნიშნული რაოდენობის საქონლის შესყიდვის განხორციელება და წლის ბოლომდე შესასყიდი ჰოლოგრამების რაოდენობა განისაზღვრა 2 მლნ. ცალით, თუმცა წლის განმავლობაში

¹⁷ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის I და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

შესყიდვების ყველა კორექტირებულ გეგმაში ისევ 6 მლნ. ცალია მითითებული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შესყიდვების თავდაპირველ გეგმაში ანალოგიური საჭიროებისათვის 2,25 მლნ. ლარია მოთხოვნილი, ხოლო საბოლოო კორექტირების შედაგად ეს თანხა 830.0 ათ. ლარამდე შემცირდა, მაგრამ შესყიდვა საერთოდ არ განხორციელებულა.

4.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გაითვალისწინოს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.
- ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გაზეთ "24 საათში" ინფორმაცია ხელშეკრულების დადების შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით გამოყოს კოორდინატორი, ან შექმნას ინსპექტირების ჯგუფი საჭიროებისამებრ.
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული.
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ისეთი აუცილებელი ელემენტები და პირობები, როგორებიცაა ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობა და მისი ჯამური ღირებულება.
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში სააგენტოს მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმა, ხოლო ფინანსური პარამეტრით ცვლილების შემთხვევაში დამატებით მოახდინოს წერილობითი ფორმით მისი დასაბუთება.
- 5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-წაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა.

5.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება.

კონტროლის პალატის წინა თემატური შემოწმება მოიცავდა 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 1 აპრილამდე პერიოდს.

აქტში მივლინებებთან დაკავშირებით დაფიქსირებული დარღვევები აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აღმოფხვრილია.

2004 წლის „ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების“ პროგრამის განსახორციელებლად 25 იურიდიულ და ფიზიკურ პირზე გაცემული 586,6 ათ. ლარის დებიტორული დავალიანების ჩამოსაწერად შეტანილია სარჩელი სასამართლოში, თუმცა აუდიტის

მიმდინარეობის პერიოდისთვის ჩამოწერილია მხოლოდ 18,0 ათ. ლარის დებიტორული დავალიანება.

სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებულია 2005 წლის ღვინომასალების რეალიზაციიდან შემოსული თანხები 72,0 ათ.ლარი და სალიცენზიო-სანებართვო მოსაკრებლის თანხა 76,9 ათ.ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში კვლავ მეორდება დარღვევები, ასევე ადგილი აქვს „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლის მოთხოვნების უგულებელყოფას.

საცნობარო მუხლში პასუხსაგებ შენახვაზე აღრიცხულ 86,6 ათ.ლარის ღირებულების ღვინო მასალებისა და საბრენდე სპირტების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებით არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები.

ნაწილი IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა

საქართველოს კონტროლის პალატის

უფროსი აუდიტორი

ანა ალავერდაშვილი

ა. არავა ჩრიჭია ხელმოწერა 1.03.11.6. თარიღი